

გაცნობითი პრაქტიკა სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურებისათვის

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა
სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია
სასწავლო კურსი



ბათუმი
2021წ.

გაცნობითი პრაქტიკა - გემბანის რიგითი მეზღვაურებისათვის

პროფესიის შესახებ ინფორმაციის მართვა

1.1.1- პროფესიის არსი და პროფესიული ვალდებულებები

მეზღვაური - ყველა საზღვაო პროფესიის გამაერთიანებელი სახელია, ის არის პირი, რომელიც მუშაობს სატრანსპორტო ხომალდზე ან მსახურობს საზღვაო სამხედრო გემზე.

მოკლე ახსნა: ღია ზღვა არის ლამაზი ლანდშაფტი. მაგრამ, რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში, ის მომაბეზრებელია. და არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთ პროფესიას განუწყვეტლივ უკავშირებენ ამ გაუთავებელ ლურჯ სივრცეს.

მეზღვაური არის სამოქალაქო ან სამხედრო გემის ეკიპაჟის წევრი. ეს კონცეფცია მოიცავს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, რომლებიც გემზე მუშაობენ და ზღვებში დადიან. მეზღვაურად შეიძლება ჩაითვალოს **მზარეულები, ოკეანეოლოგები, გემის კაპიტნები და გემის დამლაგებელიც კი** - ისინი მუშაობენ შორს სანაპიროდან მოცილებული. ამ პროფესიის მქონედ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი ადამიანებიც, ვისაც არ შეუძლია ცურვა, მაგრამ გემზე მუშაობენ.

პროფესიის ისტორია: მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანი 23 ათასი წლის წინ გადიოდა ზღვაში, მაგრამ შეუძლებელი იყო, რომ მათთვის დაერქვათ პროფესიული ნაოსნობი. ძველი დროიდან დატოვებული ნახატებიდან ჩანს, რომ ადამიანები უბრალოდ, მოკლე მანძილზე პატარა პრიმიტიული ნაგებობით გადიოდნენ ზღვაში. ხოლო, პირველი, მეტნაკლებად პროფესიონალი მეზღვაურები გამოჩნდნენ 7000 წელს ძველ წელთა აღრიცხვამდე, წითელ ზღვაში და სპარსეთის ყურეში, ესენი იყვნენ პირველი მეზღვაურები პატარა თევზმჭერი ბარკასებით (Longboats).

საზოგადოებაში პროფესიის სოციალური მნიშვნელობა: მეზღვაურებს შეიძლება შეხვდეთ საპორტო ქალაქებში. იქ ეს ითვლება კარგად გავრცელებულ პროფესიად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო ფლოტმა განიცადა განადგურების პერიოდი. აქედან გამომდინარე, უფრო და უფრო მეტი თანამემამულე სპეციალისტები მუშაობენ გემებზე სხვადასხვა სახელმწიფოს დროშებით.

პროფესიის მასობრივობა და უნიკალურობა: ადამიანი, რომელსაც სურს გემზე მუშაობა, რომელიც ზღვაში დადის, უნდა ჰქონდეს ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც ზღვაში ეკიპაჟისთვის სასარგებლო იქნება. სავაჭრო ან სამხედრო ფლოტში, გემებზე არ არსებობენ ზედმეტი მეზღვაურები - ყველა ასრულებს თავთავის ფუნქციებს. ასეთი ადამიანები მზად უნდა იყოს სამუშაოდ სახლიდან მოშორებული, სასურველია, რომ იცოდეს ცურვა და იყოს კარგი სპეციალისტი თავიანთ სფეროში, რადგან ზღვაში დახმარებას დიდხანს უნდა ლოდინი.

პროფესიის რისკები: მეზღვაური - არის სახიფათო პროფესია. პლანეტის სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები ადამიანების იმუნიტეტი განსხვავებულია. აქედან გამომდინარე, გემის თანამშრომლები, რომლებიც უცხო პორტში ყოფნის დროს ხშირად განიცდიან საზღვარგარეთის დაავადებებს. ზღვის ამინდი ყოველთვის არ არის ხელსაყრელი და არსებობს ავარიის საფრთხე. მაგრამ ზღვაზე მუშაობა - რომანტიულია. ყოველ დღე არსებობს შესაძლებლობა, უყუროთ Poseidon-ის სამეფოს უსაზღვრო სივრცეს. გემზე მსახურობა - დიდი შესაძლებლობაა შორეული ქვეყნების ნახვის. გარდა ამისა, იოდის იონებით გაჯერებული ჰაერის ჩასუნთქვა მარგებელია ჯანმრთელობისთვის.

სად შევისწავლოთ პროფესია: გადაზიდვის სხვადასხვა სპეციალობების შესწავლა შესაძლებელია საზღვაო ინსტიტუტებსა და აკადემიებში. ისეთი სპეციალობები, როგორიცაა მატროსები, მოტორისტები, მექანიკოსები, პოვრები და ექიმები ღებულობენ განათლებას თავიანთ სპეციალიზირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში წინასწარი მომზადების გარეშე გემზე. გარკვეული პრაქტიკის შემდეგ ჩვეულებრივი სახმელეთო სპეციალისტიდან გამოდის საუკეთესო მეზღვაური.

მოვალეობები: თავისთავად, სიტყვა "მეზღვაური" განზოგადებს ყველა საზღვაო სპეციალობას. შესრულებული ფუნქციებიდან დამოკიდებული მეზღვაურები შეიძლება იყვნენ კაპიტნები, შტურმანები, ლოცმანები, მატროსები და ა.შ.. ამავე დროს, გემზე, როგორც წესი, არსებობს ორი ძირითადი განყოფილება: - საგემბანე და სამანქანე განყოფილებები.

კაპიტანი ხელმძღვანელობს მთელ ეკიპაჟს და საგემბანე განყოფილებას რომელშიც შედის ოფიცრები: უფროსი, მეორე, მესამე, მეოთხე თანამემწეები, აგრეთვე რიგითი შემადგენლობა - ბოცმანი, მატროსები, პოვრები და ოფიცინტები. საგემბანე გუნდი ამზადებს სატვირთო ტრიუმებს და გემბანის მექანიზმებს ექსპლოატაციისთვის - პოხავს, ალაგებს და ღებავს.

უფროსი მექანიკოსი მეთაურობს სამანქანე განყოფილებას, სადაც შედიან ოფიცრები: მეორე, მესამე, მეოთხე, სისტემების მექანიკოსი, ელმექანიკოსი, სარეფრეჟერატორო მექანიკოსი, აგრეთვე რიგითი შემადგენლობა: მოტორისტები, დამლაგებლები, შემდუღებლები, ზეინკლები. სამანქანე გუნდი ემსახურება სამანქანე განყოფილების მექანიზმების მთელი კომპლექსის შრომისუნარიანობის შენარჩუნებას.

მნიშვნელოვანი თვისებები: მეზღვაურის პროფესიაში მნიშვნელოვანი თვისებებია: შრომის მოყვარეობა, პასუხისმგებლობა, სწრაფი რეაგირება, გუნდში მუშაობის უნარი, ანალიტიკური აზროვნება, სტრესულ სიტუაციებში საკუთარი თავის კონტროლი და ხანგრძლივი მოგზაურობისთვის მზადყოფნა.

სწავლება:

ზღვაში მუშაობისთვის აუცილებელია, საზღვაო სკოლის დამთავრება, სადაც სწავლა ჩვეულებრივ წელიწადს გრძელდება. თუ გვინდა გავხდეთ საზღვაო ოფიცრები, ამისათვის საჭიროა უმაღლესი პროფილის განათლება.

1.1.2 - დასაქმების შესაძლებლობები

საზღვარგარეთის დროშის ქვეშ მომუშავე გემების მეზღვაურების აყვანისა და დასაქმების უფლება აქვთ:

1. მეზღვაურთა დასაქმებისა და სამუშაოზე მოწყობის ორგანიზაციებს, რომლებიც კანონიერად არიან დაკავებული საქართველოს მოქალაქეთა გადამზადებით ან/და დასაქმებით უცხოური დროშის ქვეშ გემებზე, რომელთა საქმიანობა შეესაბამება, მეზღვაურთა დასაქმების საერთაშორისო კონვენციის ორგანიზაციის მოთხოვნებს.

2. საერთაშორისო კონვენციების მოღვაწეობის მოთხოვნების შესაბამისად, მეზღვაურთა დაქირავებისა და დასაქმების შესახებ განისაზღვრება სერტიფიცირების მომსახურების მეშვეობით და საზღვარგარეთის დროშის ქვეშ მყოფ გემებზე ჩვენი მეზღვაურების დასაქმება/სამუშაოზე მოწყობით.

3. ყოველი, დაქირავების და სამუშაოზე მოწყობის, სამსახური ვალდებულია აწარმოოს რეესტრული ჩანაწერი თითოეულ მათ მიერ დაქირავებულ და სამუშაოზე მოწყობილ მეზღვაურზე, აგრეთვე უნდა იყოს შენახული, მათთან აღრიცხვაზე მყოფ მეზღვაურთა დოკუმენტაცია. ასეთი დოკუმენტაცია მოიცავს მონაცემებს მეზღვაურის კვალიფიკაციისა და მისი წინა დასაქმების პირად მონაცემებზე, აგრეთვე სამედიცინო ინფორმაციის შესახებ.

4. სერვისმა უნდა უზრუნველყოს, რომ მეზღვაურებს მიეწოდოს სპეციალური ინფორმაცია სამუშაო პირობების შესახებ, კონკრეტულ ადგილას და იხელმძღვანელონ პრინციპით, რომ მეზღვაურები გაიგზავნონ მხოლოდ დამსაქმებელთან რომლებიც სთავაზობენ მეზღვაურებს ისეთ პირობებს, რომლებიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობებს ან კოლექტიურ შეთანხმებებს.

5. მომსახურება პასუხისმგებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა მეზღვაურს, დაქირავებულს ან დასაქმებულს ჰქონდეთ კვალიფიკაცია და დიპლომები და შესაბამისი დამამოწმებელი სერტიფიკატები ამ ფუნქციების შესრულებისათვის, ისინი უნდა იყვნენ დაქირავებამდე ინფორმირებულნი მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, ან დასაქმების პროცესში, და მათ მიეცეთ შესაძლებლობა, გაცნობოდნენ დასაქმების კონტრაქტებს მანამდე და ხელმოწერის შემდეგ ერთი კოპიის მიღებისთვის.

ეკიპაჟის წევრებს უფლება აქვთ, რეპატრიაცია განახორციელონ შემდეგ შემთხვევებში:

- 1) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა საქართველოს საზღვრებს გარეთ, რომელიც იყო დადებული გარკვეული ვადით ან ლაშქრობის გარკვეული რაოდენობით;
- 2) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა გემის მესაკუთრის ან გემის ეკიპაჟის წევრის ინიციატივით გარკვეული ვადის ამოწურვით, რომელიც დადებული იყო შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად;
- 3) გემის დაღუპვა;
- 4) ავადმყოფობა ან ტრამვა, რომელიც მოითხოვს გემის გარეთ მკურნალობას;
- 5) გემის მესაკუთრის მიერ შეუძლებლობა შეასრულოს თავისი ვალდებულებები გემის ეკიპაჟის წევრების მიმართ, გათვალისწინებული კანონით ან საქართველოს შრომითი ხელშეკრულების სხვა კანონით, გაკოტრების გამო, გემის რეალიზაციის ან გემის რეგისტრაციის (დროშის) შეცვლის გამო;
- 6) გემის გადამისამართება, გემის ეკიპაჟის წევრების თანხმობის გარეშე, ომის ზონაში ან ეპიდემიოლოგიური საშიშროების ზონაში;
- 7) ეკიპაჟის წევრთა მუშაობის გარკვეული კოლექტიური ხელშეკრულების მაქსიმალური ვადის გასვლის შემდეგ.

რეპატრიაცია, გემის ეკიპაჟის წევრის მოთხოვნის საფუძველზე ხორციელდება იმ სახელმწიფოში, სადაც ის ცხოვრობს, პორტში - სადაც იგი ამოვიდა გემზე ან კოლექტიურ

ხელშეკრულებაში მითითებულ ან ნებისმიერ სხვა პუნქტში, რომელიც მითითებულია გემის ეკიპაჟის წევრის დაქირავების დროს.

გემთმფლობელი ვალდებულია სათანადო და სწრაფი რეპატრაციის მოწყობა. რეპატრაცია ხორციელდება ჰაერით.

რეპატრაციის ხარჯებს გემთმფლობელი იხდის. მათ შორისაა:

- გემის ეკიპაჟის წევრის გამგზავრება რეპატრაციის ადგილას;
- გემის ეკიპაჟის წევრის კვება და საცხოვრებელი ადგილი იმ დროიდან, როცა ის ტოვებს გემს და იმ დრომდე, როცა ის ჩადის რეპატრაციის ადგილას;
- გემის ეკიპაჟის წევრის მკურნალობა, აუცილებლობის შემთხვევაში, სანამ იგი არ გამოჯანმრთელდება რეპატრაციის ადგილას მისაღწევად;
- რეპატრაციის ადგილას ეკიპაჟის წევრთა მიერ 30 კილოგრამიანი ბარგის ტრანსპორტირება;
- ხელფასი და დახმარება იმ დროიდან, როდესაც ეკიპაჟის წევრი დატოვებს გემს იმ დრომდე, როდესაც ის რეპატრაციის ადგილზე მივა, თუ ეს გათვალისწინებულია კოლექტიური ხელშეკრულებით.

თუ რეპატრაციის გამომწვევი მიზეზი გამოიწვია გემის ეკიპაჟის წევრის ბრალეულობის გამო, მესაკუთრეს უფლება აქვს, რეპატრაციის ხარჯების ანაზღაურება მიიღოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

გემის ეკიპაჟის წევრის ქონების დაღუპვის შემთხვევაში ან გემზე მომხდარი ავარიის შედეგად ასეთივე ქონების მიყენებული ზიანის შემთხვევაში, გემის მესაკუთრე ვალდებულია აუნაზღაუროს გემის ეკიპაჟის წევრს მიყენებული ზიანი. იმ შემთხვევაში, თუ გემის ეკიპაჟის წევრი დამნაშავეა გემისთვის მიყენებულ ზიანში, ამ შემთხვევაში გემის ეკიპაჟის წევრს კომპენსაცია არ უკეთდება.

გემი კაპიტანი - გემზე ან ყველა მოცურავე ხომალდზე, კაპიტანი - ყველაზე მთავარი ადამიანია, რომელიც პასუხისმგებელია მთელი ეკიპაჟის, ტვირთის, გემის და იღებს მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.

1.1.3 - შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ურთიერთობების ძირითადი ნორმები.

შრომის კოდექსი ეხება ძირითად მარეგულირებელ აქტებს, რომელიც არეგულირებს დღეს საკადრო წარმოების საკითხებს.

საწარმოს მუშაობის ორგანიზაციაა - პროცესი, რომელიც მოითხოვს მეწარმისგან, შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რიგი წესები და ნორმები. მას შემდეგ, რაც კომპანია ფუნქციონირებს ადამიანური რესურსების ხარჯზე, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება შრომის კოდექსის მოთხოვნებს და სტანდარტებს. ამ

მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებლობა ყველა ხელმძღვანელის წინაშე აყენებს შრომის კანონმდებლობის სფეროში ცოდნის მიღებას.

მუხლი 1. მოქმედების სფერო

1. ეს კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

2. შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კოდექსი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.

მუხლი 2. შრომითი ურთიერთობა

1. შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.

2. შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით.

3. შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო.

4. დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

5. დისკრიმინაციად არ ჩაითვლება პირთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.

6. შრომითი ურთიერთობისას მხარეებმა უნდა დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

მუხლი 3. შრომითი ურთიერთობის სუბიექტები

1. შრომითი ურთიერთობის სუბიექტები შეიძლება იყვნენ: დამსაქმებელი, დასაქმებული და დასაქმებულთა გაერთიანება.

2. დამსაქმებელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ანდა პირთა გაერთიანება, რომლისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სამუშაო.

3. დასაქმებული არის ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს.

4. კოლექტიური შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან: დასაქმებულთა გაერთიანება და დამსაქმებელი.

კარი II
ინდივიდუალური შრომითი ურთიერთობა

თავი II
შრომითი ურთიერთობის წარმოშობა

მუხლი 4. სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი და შრომითი ქმედუნარიანობის წარმოშობა

1. ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან.
2. 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც.
3. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.
4. აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათანადო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად.
5. აკრძალულია არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად.

მუხლი 5. წინასახელშეკრულებო ურთიერთობა და ინფორმაციის გაცვლა შრომითი ხელშეკრულების დადებამდე

1. დამსაქმებელი უფლებამოსილია მოიპოვოს ის ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელიც ესაჭიროება მისი დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.
2. კანდიდატი ვალდებულია დამსაქმებელს აცნობოს ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მას სამუშაოს შესრულებაში ან საფრთხე შეუქმნას დამსაქმებლის ან მესამე პირის ინტერესებს.
3. დამსაქმებელს უფლება აქვს შეამოწმოს კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაციის სისწორე.
4. დამსაქმებლის მიერ მოპოვებული ინფორმაცია კანდიდატის შესახებ და კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაცია არ შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი სხვა პირთათვის კანდიდატის თანხმობის გარეშე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
5. კანდიდატს უფლება აქვს გამოითხოვოს მის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, თუ მასთან დამსაქმებელმა არ დადო შრომითი ხელშეკრულება.
6. კანდიდატი უფლებამოსილია მიიღოს სრული ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოს, შრომის პირობების, შრომითი ურთიერთობისას მისი უფლებრივი მდგომარეობის, შრომის ანაზღაურების შესახებ.

7. კანდიდატთან წინასახელშეკრულებო ურთიერთობა დასრულებულად ითვლება მხარეთა მიერ შრომითი ხელშეკრულების დადებით ან დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინებით.

8. დამსაქმებელი ვალდებული არ არის დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება დასაქმებაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 6. შრომითი ხელშეკრულების დადება

1. შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული, განუსაზღვრელი ან სამუშაოს შესრულების ვადით.

2. წერილობითი შრომითი ხელშეკრულება იდება მხარეთათვის გასაგებ ენაზე. წერილობითი შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს რამდენიმე ენაზე. თუ წერილობითი შრომითი ხელშეკრულება რამდენიმე ენაზე დადებული, იგი უნდა შეიცავდეს დათქმას იმის თაობაზე, თუ რომელ ენაზე დადებულ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესობა ხელშეკრულებების დებულებებს შორის განსხვავების შემთხვევაში.

3. პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას.

4. დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის მოთხოვნის შემთხვევაში გასცეს ცნობა დასაქმების შესახებ, რომელიც მოიცავს მონაცემებს შესრულებული სამუშაოს, შრომის ანაზღაურების, შრომითი ხელშეკრულების ხანგრძლივობის თაობაზე.

5. შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ შრომის შინაგანაწესი ხელშეკრულების ნაწილია. ამ შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია პირს შრომითი ხელშეკრულების დადებამდე გააცნოს შრომის შინაგანაწესი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო შემდგომში – მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება.

6. თუ დასაქმებულთან დადებულია რამდენიმე შრომითი ხელშეკრულება, რომლებიც მხოლოდ ავსებს და მთლიანად არ ცვლის ერთმანეთს, ყველა ხელშეკრულება ინარჩუნებს ძალას და განიხილება, როგორც ერთი შრომითი ხელშეკრულება.

7. წინა შრომითი ხელშეკრულება ძალას ინარჩუნებს იმდენად, რამდენადაც მისი დებულებები შეცვლილი არ არის შემდგომი ხელშეკრულებით.

8. დასაქმებულთან ერთსა და იმავე პირობაზე დადებული რამდენიმე შრომითი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ბოლოს დადებულ ხელშეკრულებას.

მუხლი 7. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა

შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მუხლი 8. შრომითი ხელშეკრულების შეთავსებით სამუშაოზე დადების შეზღუდვა

1. შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე შეიძლება დაიდოს პირთან, რომელსაც ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს შეუძლია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება.

2. დასაქმებულის უფლება, შეასრულოს სხვა სამუშაო, შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულებით შეიზღუდოს, თუ ასეთი სამუშაოს შესრულებამ შეიძლება ხელი შეუშალოს მის ძირითად სამუშაოსთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებას ან/და თუ პირი, რომლისთვისაც უნდა შესრულდეს შეთავსებითი სამუშაო, დამსაქმებლის კონკურენცია.

მუხლი 9. გამოსაცდელი ვადა

1. შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, კანდიდატთან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით არა უმეტეს 6 თვისა. შრომითი ხელშეკრულება

გამოსაცდელი ვადით შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით, სხვა შემთხვევაში ასეთი ხელშეკრულება ჩაითვლება შრომით ხელშეკრულებად.

2. დამსაქმებელს უფლება აქვს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულება ან მოშალოს გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება.

3. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ნორმა, თუ გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში დასაქმებულის შრომა ანაზღაურდება ნამუშევარი დროის შესაბამისად.

თავი III სამუშაოს შესრულება

მუხლი 10. სამუშაოს პირადად შესრულების მოვალეობა

დასაქმებული ვალდებულია სამუშაო პირადად შეასრულოს. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ განსაზღვრული ვადით სამუშაოს მესამე პირის მიერ შესრულებაზე.

მუხლი 11. დამსაქმებლის მითითების უფლება, შრომითი ხელშეკრულების პირობების არაარსებითი შეცვლა და შეცვლა

1. დამსაქმებელს უფლება აქვს დასაქმებულისათვის მითითებით დააზუსტოს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოება, რომელიც არსებითად არ ცვლის ხელშეკრულების პირობებს.

2. შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.

3. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელშეკრულების პირობების არაარსებითი შეცვლად მიიჩნევა:

ა) დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის მითითებული სამუშაოს შესრულების ადგილის შეცვლა, თუ საზოგადოდ ხელმისაწვდომი სატრანსპორტო საშუალებებით საცხოვრებელი ადგილიდან სამუშაოს შესრულების ახალ ადგილამდე მისვლა და დაბრუნება მოითხოვს არა უმეტეს 3 საათისა დღეში, ამასთანავე, არ იწვევს არათანაბარობიერ ხარჯებს;

ბ) სამუშაოს დაწყების ან დამთავრების დროის ცვლილება არა უმეტეს 90 წუთით;

გ) ისეთი ცვლილება, რომელიც განპირობებულია კანონმდებლობის შეცვლით და შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების ზუსტ შესრულებას, ამასთანავე, არ ცვლის მის ძირითად არსს.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებებიდან ერთდროულად ორის შეცვლა მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლად.

მუხლი 12. მივლინება

1. მივლინება არის დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის სამუშაო ადგილის დროებით შეცვლა, სამუშაოს ინტერესებიდან გამომდინარე.

2. დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის მივლინებაში გაგზავნა არ მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლად, თუ მივლინების პერიოდი არ აღემატება წელიწადში 45 კალენდარულ დღეს.

3. დამსაქმებლის მიერ ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვადის გადამეტების შემთხვევა მიიჩნევა შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლად.

4. დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მუხლი 13. შრომის შინაგანაწესი

1. დამსაქმებელს უფლება აქვს დაადგინოს შრომის შინაგანაწესი.

2. შრომის შინაგანაწესი არის წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც შეიძლება განისაზღვროს:

- ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას – ცვლის ხანგრძლივობა;
- ბ) დასვენების ხანგრძლივობა;
- გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და ადგილი;
- დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;
- ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი;
- ვ) შრომის პირობების დაცვის წესები;
- ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი;
- თ) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი.

3. სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, დამსაქმებელმა შრომის შინაგანაწესით შეიძლება განსაზღვროს სპეციალური წესები.

თავი IV

სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო

მუხლი 14. სამუშაო დროის ხანგრძლივობა

1. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 41 საათს. სამუშაო დროში არ ითვლება შესვენების და დასვენების დრო.

2. სამუშაო დღეებს (ცვლებს) შორის დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები.

მუხლი 15. ცვლაში მუშაობისას განსაზღვრული სამუშაო დრო

ცვლაში მუშაობა და ერთი ცვლიდან მეორეში გადასვლა განისაზღვრება ცვლიანობის განრიგით, რომელსაც ამტკიცებს დამსაქმებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით. ცვლიანობის განრიგის ცვლილების შესახებ დასაქმებულს უნდა ეცნობოს 10 დღით ადრე, თუ ეს შეუძლებელი არ არის უკიდურესი საწარმოო აუცილებლობის გამო.

მუხლი 16. სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვის წესი

სამუშაოს პირობების გათვალისწინებით, როდესაც შეუძლებელია ყოველდღიური ან ყოველკვირეული სამუშაო დროის ხანგრძლივობის დაცვა, დასაშვებია სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვის წესის შემოღება.

მუხლი 17. ზეგანაკვეთური სამუშაო

1. დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს ზეგანაკვეთური სამუშაო:

ა) სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – ანაზღაურების გარეშე;

ბ) საწარმოო ავარიის თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების ლიკვიდაციისთვის – სათანადო ანაზღაურებით.

2. აკრძალულია ორსული ან ახალნამშობიარები ქალის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე.

3. ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაო დროს. თუ შრომითი ხელშეკრულებით სამუშაო დრო არ არის განსაზღვრული, ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა სამუშაოს შესრულება დროის იმ

მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება კვირაში 41 საათს ან ამ კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად დამსაქმებლის მიერ 41 საათის ფარგლებში განსაზღვრულ სამუშაო დროს.

4. ზეგანაკვეთური სამუშაოს პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 18. ღამით მუშაობის შეზღუდვა

აკრძალულია ღამის სამუშაოზე (22 საათიდან 6 საათამდე) არასრულწლოვნის, ორსული, ახალნაშობიარები ან მეძუძური ქალის დასაქმება, ხოლო 3 წლამდე ასაკის ბავშვის მომვლელის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დასაქმება – მისი თანხმობის გარეშე.

მუხლი 19. დამატებითი შესვენება მეძუძური ქალისათვის

1. დასაქმებულს, რომელიც მეძუძური ქალია და კვებას ერთ წლამდე ასაკის ბავშვს, მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა დამატებითი შესვენება დღეში არანაკლებ 1 საათისა.

2. ბავშვის კვებისათვის შესვენება ითვლება სამუშაო დროში და ანაზღაურდება.

მუხლი 20. უქმე დღეები

1. უქმე დღეებია:

- ა) 1 და 2 იანვარი – ახალი წლის სადღესასწაულო დღეები;
- ბ) 7 იანვარი – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე;
- გ) 19 იანვარი – ნათლისღება – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გაცხადების დღე;
- დ) 3 მარტი – დედის დღე;
- ე) 8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე;
- ვ) 9 აპრილი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;
- ზ) სააღდგომო დღეები – დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე; მიცვალებულთა მოხსენიების დღე – აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი (თარიღები გარდამავალია);
- თ) 9 მაისი – ფაშიზმზე გამარჯვების დღე;
- ი) 12 მაისი – საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის – წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე;
- კ) 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე;
- ლ) 28 აგვისტო – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა);
- მ) 14 ოქტომბერი – მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღე;
- ნ) 23 ნოემბერი – გიორგობის დღე.

2. დასაქმებული უფლებამოსილია ამ კოდექსით დადგენილი უქმე დღეების ნაცვლად მოითხოვოს სხვა დასვენების დღეები, რაც უნდა განისაზღვროს შრომითი ხელშეკრულებით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ უქმე დღეებში დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება მიიჩნევა ზეგანაკვეთურ სამუშაოდ და მისი პირობები განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

თავი V

შვებულება

მუხლი 21. შვებულების ხანგრძლივობა

1. დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – არანაკლებ წელიწადში 24 სამუშაო დღით.

2. დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით – არანაკლებ წელიწადში 15 კალენდარული დღით.

3. შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს ამ მუხლით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ვადები და პირობები, რომლებიც არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას.

მუხლი 22. შვებულების მიცემის წესი

1. დასაქმებულს შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მუშაობის თერთმეტი თვის შემდეგ. დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდე.

2. მუშაობის მეორე წლიდან დასაქმებულს მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს სამუშაო წლის ნებისმიერ დროს.

3. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შვებულების ნაწილ-ნაწილ გამოყენება.

4. შვებულებაში არ ითვლება დროებითი შრომისუუნარობის პერიოდი, შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო, შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო და დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო.

5. თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამსაქმებელი უფლებამოსილია დაადგინოს დასაქმებულთათვის წლის განმავლობაში ანაზღაურებად შვებულებათა მიცემის რიგითობა.

მუხლი 23. ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დამსაქმებლის წინასწარ გაფრთხილების ვალდებულება

ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დასაქმებული ვალდებულია 2 კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო.

მუხლი 24. შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობა

1. შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში ითვლება დასაქმებულის მიერ ფაქტობრივად ნამუშევარი, აგრეთვე დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დრო.

2. შვებულების მოთხოვნის უფლების წარმოშობის გამოსათვლელ ვადაში არ ითვლება დასაქმებულის მიერ სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენის ან 7 სამუშაო დღეზე მეტი ხნით ანაზღაურების გარეშე შვებულებაში ყოფნის დრო.

მუხლი 25. ანაზღაურებადი შვებულების გადატანის გამონაკლისი შემთხვევები

1. თუ დასაქმებულისათვის მიმდინარე წელს ანაზღაურებადი შვებულების მიცემამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სამუშაოს ნორმალურ მიმდინარეობაზე, დასაქმებულის თანხმობით დასაშვებია შვებულების გადატანა მომდევნო წლისათვის. აკრძალულია არასრულწლოვნის ანაზღაურებადი შვებულების გადატანა მომდევნო წლისათვის.

2. აკრძალულია ანაზღაურებადი შვებულების გადატანა ზედიზედ 2 წლის განმავლობაში.

მუხლი 26. საშვებულებო ანაზღაურება

დასაქმებულის საშვებულებო ანაზღაურება განისაზღვრება შვებულების წინა 3 თვის საშუალო ანაზღაურებიდან, თუ მუშაობის დაწყებიდან ან უკანასკნელი შვებულების შემდეგ ნამუშევარი დრო 3 თვეზე ნაკლებია – ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო ყოველთვიური ფიქსირებული ანაზღაურების შემთხვევაში – ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

2 კონკრეტულ პროფესიაში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპების აღწერა

4 - შინაგანაწესის არსი და პროფესიული ეთიკის ნორმები

1. ბნსუ - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესი (შემდგომში - შინაგანაწესი) შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-13 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომლითაც განისაზღვრება უნივერსიტეტის საქმიანობასთან, პერსონალთან და სტუდენტობასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები.

2. შინაგანაწესს შეიმუშავენ და ამტკიცებს სენატი.

შინაგანაწესის მიზნები და ფუნქციები:

1. ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის სტუდენტებს საგანმანათლებლო პროგრამებში ჩამოყალიბებული მიზნებისა და ამოცანების მაქსიმალურად ეფექტურად განხორციელებაში;
2. ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და სტუდენტების ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობა.
3. შინაგანაწესით განისაზღვრება:
 - ა) სამსახურში აყვანის წესი;
 - ბ) შრომის დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფის პირობები;
 - გ) სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების პრინციპები;
 - დ) პერსონალისა და სტუდენტების უფლება-მოვალეობანი;
 - ე) პერსონალის მატერიალური პასუხისმგებლობა;
 - ვ) სამუშაო/სწავლის პერიოდის დასაწყისი და დასასრული, შესვენების დრო;
 - ზ) დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში, აგრეთვე ყოველდღიური სამუშაო დროის დასრულების შემდეგ დაწესებულებაში ყოფნის წესი და პირობები;
 - თ) უნივერსიტეტის პერსონალის სამსახურებრივ საკითხებზე ბრძანებათა დაყვანის წესი;
 - ი) შრომის ანაზღაურების წესი და პირობები;
 - კ) პერსონალისათვის შვებულების მიცემის წესი;
 - ლ) სამსახურებრივი მივლინების წესი;
 - მ) გაცდენილი სამუშაო დროის საპატიოდ, ან არასაპატიოდ ჩათვლის წესი;
 - ნ) წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები და მათი გამოყენების წესი;
 - ო) სამსახურიდან დათხოვნილ პირთა ვალდებულებანი;
 - პ) უნივერსიტეტის პერსონალისათვის კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამოვლენის ხელშეწყობა.
4. პერსონალი და სტუდენტი, სპეციალობის, კვალიფიკაციისა და თანამდებობის გათვალისწინებით, გარკვეული სამუშაოს შესრულების, შრომითი ხელშეკრულების პირობების დაცვის ვალდებულების გარდა, ასევე ვალდებულია, სპეციალური მითითების გარეშე, დაიცვას წინამდებარე შინაგანაწესი, დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები და ყველა სხვა სამართლებრივი აქტი, რომელიც მის საქმიანობას ეხება.

შრომითი ურთიერთობა, შრომითი ხელშეკრულების დადება

1. შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზებული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.

2. შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით.

3. უნივერსიტეტსა და უნივერსიტეტის პერსონალს შორის შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით: განსაზღვრული, განუსაზღვრელი ან სამუშაოს შესრულების ვადით.

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

1. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მხარეთა შეთანხმება;

ბ) შრომითი ხელშეკრულების მოშლა თანამშრომლის ან ადმინისტრაციის ინიციატივით;

გ) ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა;

დ) შრომითი ხელშეკრულების და წინამდებარე შინაგანაწესის პირობების დარღვევა;

ე) საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

სამსახურში მიღებისა და დათხოვნის წესი

1. უნივერსიტეტის პერსონალის სამსახურში მიღების და განთავისუფლების წესი, უნივერსიტეტის პერსონალთან ყველა სახის სამართლებრივი ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“, საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონით „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესითა და სხვა შიდა მარეგულირებელი ნორმატიული მოთხოვნებით.

2. ადმინისტრაციული თანამდებობების დაკავება ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე, დანიშვნის გზით, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. აკადემიური თანამდებობების დაკავება ხდება ღია კონკურსის გზით „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებისა და უნივერსიტეტის მოთხოვნების დაცვით. კონკურსის შედეგების შესაბამისად აკადემიურ პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

4. უნივერსიტეტში ყოველდღიური საქმიანობის სრულყოფილად განხორციელებისათვის უნივერსიტეტის რექტორი ნიშნავს დამხმარე პერსონალს.

უნივერსიტეტის პერსონალი

1. უნივერსიტეტის პერსონალს მიეკუთვნებიან პირები, რომლებსაც უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დაკავებული აქვთ აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები.

2. აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან, ასოცირებული პროფესორებისაგან და ასისტენტ-პროფესორებისაგან, რომლებიც წარმართავენ სასწავლო პროცესს და მონაწილეობენ მეცნიერულ კვლევებში.

3. ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნება: რექტორი, რექტორის მოადგილე (ები), უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები.

4. მასწავლებელთა პერსონალს მიეკუთვნება მასწავლებელი და უფროსი მასწავლებელი. მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულ მეცადინეობებს და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

5. დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული უნივერსიტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი სხვა პირები.

6. მოვალეობები, რომლებსაც ასრულებს უნივერსიტეტის თითოეული თანამშრომელი თავისი სპეციალობის, კვალიფიკაციის ან დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, განსაზღვრულია საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციებით. შინაგანაწესის მოთხოვნები აგრეთვე ვრცელდება უნივერსიტეტში მოკლევადიანი შრომითი ხელშეკრულებით მოწვეულ პირებზე.

საზღვაო უნივერსიტეტის პერსონალის უფლება-მოვალეობები

1. საზღვაო უნივერსიტეტის პერსონალს უფლება აქვს:

- ა) მოითხოვოს მუშაობისათვის აუცილებელი ნორმალური პირობები;
- ბ) გამოიყენოს კანონით განსაზღვრული შვებულება;
- გ) გაწევრიანდეს სხვადასხვა პროფესიულ ან/და სამეცნიერო ხასიათის კანონით ნებადართულ გაერთიანებაში;
- დ) ისარგებლოს დასვენებით სამუშაო დღის განმავლობაში, დასვენებისა და უქმე დღეებში;
- ე) თავის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს;
- ვ) ისარგებლოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებებითა და თავისუფლებებით.

2. უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია:

- ა) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები;
- ბ) უნივერსიტეტის წესდებისა და წინამდებარე შინაგანაწესის მოთხოვნები;
- გ) გაუფრთხილდეს საზღვაო უნივერსიტეტის ქონებას;
- დ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ჩაცმის სტილი (დრეს-კოდი)


1. უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი ვალდებულია გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ავტორიტეტს და იმიჯს არა მხოლოდ პროფესიონალური ქცევით, არამედ პროფესიონალური იერიშითაც.

2. უნივერსიტეტში დასაქმებული თანამშრომლებისა და სტუდენტების ჩაცმის სტილს/უნიფორმას ამტკიცებს სენატი.

I კვირა - 20 საათი

2.2.1 - ორგანიზაციის სტრუქტურა

სტრუქტურის როლი ორგანიზაციის მართვაში



რაც უფრო სწორად არის გაკეთებული სტრუქტურა მით უფრო დიდ ხანს შეუძლია იმუშაოს მასში არსებითი ცვლილებების შეტანის გარეშე. სწორად გაკეთებულ სტრუქტურაში ადამიანები იცვლებიან ისე, რომ თვით ამ სტრუქტურებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ხდება. ასეთი სტრუქტურები ორგანიზაციის დანიშნულების ღრმა გააზრების და მთავარი პროცესების სწორად დამუშავების შედეგად იქმნება. ისინი თვითონ მართავენ ადამიანებს და არა პირიქით, ადამიანები მართავენ მათ. ასეთი სტრუქტურები ეხმარებიან ორგანიზაციას: **1.** განახორციელოს სტრატეგია; **2.** ეფექტიანად მართოს მიმდინარე პროცესები და, რაც მთავარია, **3.** უკეთ გამოიყენოს მასში მომუშავე ადამიანების შესაძლებლობები. ეს არის ის სამი ამოცანა, რომელსაც სწორად გაკეთებული ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა ემსახურებოდეს.

ორგანიზაციის მართვის პროცესში სტრუქტურის როლის გადაფასება, რაღა თქმა უნდა, არ შეიძლება. ის ვერ შეძლებს უკეთესი, უფრო მეტად ჭკვიანი ან კეთილი გახადოს ადამიანები, ვიდრე ისინი არიან. მაგრამ სწორად გაკეთებულ სტრუქტურას ადამიანების შესაძლებლობების უკეთ გამოყენება შეუძლია. სტრუქტურა ვერ გახდის სტრატეგიას უფრო ქმედითს, მაგრამ მას შეუძლია ნულამდე დაიყვანოს ნებისმიერი, თუნდაც ძალიან კარგად შემუშავებული სტრატეგიის განხორციელების შესაძლებლობა. სტრუქტურა თვითონ ვერ გახდის პროცესს უფრო სწორს, ვიდრე ეს პროცესი არის სინამდვილეში, მაგრამ მას შეუძლია ძალიან შეანელოს პროცესი ან შეამციროს მის შედეგად მიღებული პროდუქტის ხარისხი და რაოდენობა.

სამი რაღაც, რაზეც ორგანიზაციული სტრუქტურა ყველაფერზე მეტად ახდენს გავლენას:

- ა) როგორი ხარისხით და რა ვადებში განხორციელდება სტრატეგიული გადაწყვეტილებები;
- ბ) რამდენად სწრაფი და შედეგიანი იქნება ორგანიზაციაში მიმდინარე მთავარი პროცესები;
- გ) რამდენად მონდომებულები იქნებიან და რამდენად დაიხარჯებიან ადამიანები

ორგანიზაციის სასარგებლოდ;

სამივე საკითხზე სტრუქტურა მძლავრ გავლენას ახდენს და თუ რატომ და როგორ ქვემოთ გვჩვენებთ.

სტრუქტურა და სტრატეგია

სტრუქტურის გავლენა სტრატეგიის განხორციელების ხარისხზე ძალიან დიდია, უფრო მეტად კრიტიკულიც და საკვანძოც, ვიდრე მართვის ნებისმიერი სხვა სისტემა. ამას თავისი ძალიან კონკრეტული მიზეზები აქვს.

კერძოდ: სწორედ სტრუქტურა განსაზღვრავს თუ როგორ, **რა საკითხებზე განაწილება მენეჯმენტის ყურადღება**, რა თემებზე მსჯელობას და ფიქრს მოანდომებენ ისინი საკუთარ დროს და ენერგიას, და რამდენს. სწორედ სტრუქტურა ანაწილებს მენეჯმენტის ყურადღებას და ძალისხმევას ამოცანებზე და განსაზღვრავს მათზე დახარჯული რესურსების მოცულობას. რეალურად ამოცანის მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ იზრდება, როდესაც შესაბამისი ცვლილება ხდება სტრუქტურაში და არა მაშინ, როცა ამ ამოცანის მნიშვნელობის დეკლარირებას მენეჯმენტი აკეთებს.

როდესაც ამოცანაზე პასუხისმგებელი ადამიანი განისაზღვრება ეს უკვე ნიშნავს, რომ ამ ამოცანაზე მენეჯმენტის ყურადღება გაიზრდება. რაც უფრო ზედა დონეზე ავწევთ სტრუქტურაში ამოცანაზე პასუხისმგებელ ადამიანს და რაც უფრო ნაკლებ სხვა საპასუხისმგებლო ამოცანებს დავუტოვებთ, მით უფრო დიდი და კონცენტრირებული გახდება ამ ამოცანაზე მენეჯმენტის ყურადღება. ეს ყურადღება კი, როგორც სტრატეგიული რესურსი, შეზღუდულია და დიდი მნიშვნელობა აქვს რაზეა ის ძირითადად მიმართული. სწორედ ის თუ რა დროს და რესურსს ხარჯავს ორგანიზაცია ამა თუ იმ ამოცანაზე ყოველდღიურ ცხოვრებაში განსაზღვრავს ამ ამოცანების პრიორიტეტულობას და არა ის, თუ რამდენად მუქად არის ხაზი გასმული ამ ამოცანის ქვეშ სტრატეგიის ამსახველ დოკუმენტებში.

მეორე, გამოკვეთილი მიზეზი, რის გამოც სტრუქტურა მნიშვნელოვანია სტრატეგიის განხორციელებისთვის, ეს არის **სტრატეგიული კომპეტენციები**. სწორედ სტრუქტურა ახდენს გავლენას იმაზე, თუ რა სფეროში, რა თემასთან დაკავშირებით დაგროვდება ორგანიზაციაში კომპეტენცია. პროდუქტზე მიმართული სამსახურის ფორმირება ავტომატურად აჩქარებს პროდუქტის შესახებ ცოდნის დაგროვებას ორგანიზაციაში, რეგიონზე ან ფუნქციაზე შექმნილი ქვედანაყოფი ავტომატურად იწყებს ცოდნის დაგროვებას ამ რეგიონზე, აღნიშნულ ფუნქციაზე ან ტექნოლოგიაზე. შესაბამისად, თუ ვიცით რა კომპეტენციები გვჭირდება სტრატეგიის განხორციელებისთვის და ამის შესაბამისი სტრუქტურულ გადაწყვეტილებებს ვიღებთ, აღნიშნული კომპეტენციების დაგროვებას მნიშვნელოვნად ვაჩქარებთ და ამით სტრატეგიის რეალიზაციას ვაიოლებთ.

მესამე მიზეზი, რაც სტრუქტურას სტრატეგიასთან აკავშირებს **მთავარი კონკურენტული უპირატესობაა**. კონკურენტული უპირატესობის შექმნას, განვითარებას და შენარჩუნებას შესაბამისი სტრუქტურული გადაწყვეტილებები სჭირდება. რამდენიც არ უნდა ვიძახოთ, რომ ჩვენი უპირატესობა მომსახურების ხარისხი უნდა იყოს, თუ შესაბამისი სტრუქტურა არ გვექნება არასოდეს გახდება ხარისხი კონკურენტული უპირატესობა ან ძალიან გაჭირდება მისი შენარჩუნება. ვერასოდეს იქნება ფასი უპირატესობა თუ სტრუქტურა ამის შესაბამისად არ იქნება მოწყობილი, იგივე ეხება ნებისმიერ სხვა კონკურენტულ უპირატესობას, თუ ჩვენ მისი შექმნა და შენარჩუნება გრძელვადიანი პერიოდის განმავლობაში გვჭირდება. თუ სტრუქტურა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მენეჯმენტის ყურადღება სტაბილურად მიმართოს სწორი მიმართულებებით, თუ ის გავლენას ახდენს იმაზე, თუ განსაკუთრებით რა გვეცოდინება უკეთესად ვიდრე კონკურენტებს და ასევე ის ახდენს გავლენას იმაზე, თუ გრძელვადიანად რეალურად რა გახდება ჩვენი მთავარი კონკურენტული უპირატესობა, მაშინ რა შეიძლება იყოს უფრო მნიშვნელოვანი სტრატეგიის განხორციელებისთვის, ვიდრე სტრუქტურაა. ვინაიდან სწორად გაკეთებულმა სტრუქტურამ შესაძლოა საკვანძო ადამიანების ცვლილების შემთხვევაშიც კი მენეჯმენტის აქცენტები, კომპეტენციები და კონკურენტული უპირატესობა დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნოს.

სტრუქტურა და მთავარი პროცესები

ორგანიზაციული სტრუქტურა დიდ გავლენას ახდენს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების სიჩქარეზე და მათი შედეგის ხარისხსა და მოცულობაზე. ამასაც თავისი განმაპირობებელი ფაქტორები აქვს. კერძოდ:

კოორდინაცია პროცესების სისწრაფისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. როდესაც ადამიანები ერთ ქვედანაყოფში მუშაობენ მათ შორის კოორდინაციის ხარისხი ბევრად უფრო მაღალია. როდესაც ქვედანაყოფები ერთი დირექტორის ქვეშ ერთიანდებიან ეს ქვედანაყოფები ერთმანეთთან უფრო ადვილად და გამართულად ურთიერთობენ. შესაბამისად თუ პროცესებში მონაწილე მხარეები, ვის შორისაც კარგი კოორდინაცია პროცესისთვის მნიშვნელოვანია, სწორად არიან განლაგებული სტრუქტურაში, ბევრად უფრო ჩქარდება და მარტივდება მათ შორის ურთიერთობა და პროცესებიც ბევრად უფრო სწრაფად მიმდინარეობს.

მეორე მიზეზი, რის გამოც სტრუქტურა მნიშვნელოვანია პროცესებისთვის **პარალელური კონტროლია**, რომელიც პროცესის შედეგზე, ხარისხსა და მოცულობაზე დიდ გავლენას ახდენს. თუ ინტერესები პროცესში მონაწილე სამსახურებს შორის სწორად და მკაფიოდ არის გადანაწილებული ისინი ერთმანეთის საქმიანობის პარალელურ კონტროლს იწყებენ. არ აძლევენ ერთმანეთს იმის შესაძლებლობას რომელიმე მათგანმა უხარისხო შუალედური პროდუქტი მოამზადოს და ამით უზრუნველყოფს საბოლოო პროდუქტის და თუ მომსახურების კარგ და სტაბილურ ხარისხს. მაგალითად, როდესაც ის, ვინც ამოცანას სვამს და ის, ვინც ამ ამოცანას ასრულებს სხვადასხვა დაქვემდებარებაში არიან ამოცანის მიმღები არ დაუშვებს უხარისხოდ დასმულ ამოცანაზე დავალების მიღებას, ხოლო ამოცანის გამცემი კი უკეთ გააკონტროლებს მის მიერ დასმული ამოცანის შესრულების ხარისხს. ასეთი ინტერესთა კონფლიქტები სტრუქტურაში ხელოვნურად იქმნება, რათა ქვედანაყოფებმა ერთმანეთის მიერ მომზადებული პროდუქტების თუ მომსახურების ხარისხიც და მოცულობაც მიმდინარე პროცესში აკონტროლონ.

მესამე მიზეზი, რის გამოც სტრუქტურა მნიშვნელოვანია პროცესებისთვის **ფუნქციათა სისრულეა**. სწორედ სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს პროცესისათვის საჭირო ყველა ფუნქციის საკმარისი რესურსით, სიმძლავრით და ძალაუფლებით არსებობა სტრუქტურაში, რაც ძალიან კრიტიკულ გავლენას ახდენს პროცესების მსვლელობაზე. თუ ორგანიზაციაში პროცესისთვის მნიშვნელოვანი რომელიმე ფუნქცია არ არსებობს, ან მისი სიმძლავრე და ძალაუფლება არასაკმარისია პროცესში ეფექტიანი მონაწილეობისათვის, ეს ავტომატურად ართულებს, ამძიმებს ან საერთოდ წყვეტს პროცესებს ან მისი შედეგის არასაკმარის ხარისხს ან მოცულობას განაპირობებს.

და თუ ფუნქციათა სისრულე, ინტერესთა სწორად განაწილებული კონფლიქტი და კოორდინაცია პროცესში მონაწილე მხარეებს შორის დიდად არის დამოკიდებული სწორედ სტრუქტურაზე, მაშინ რა არის უფრო მნიშვნელოვანი პროცესების სისწრაფის, შედეგის ხარისხისა და მოცულობისათვის, ვიდრე ორგანიზაციული სტრუქტურა?

სტრუქტურა და ადამიანების თვითრეალიზაცია

და ბოლოს, სტრუქტურას უკიდურესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმაზე, თუ რამდენად იხარჯებიან ადამიანები ორგანიზაციის საკეთილდღეოდ. ამასაც მისი გამომწვევი მიზეზები აქვს. კერძოდ:

მკაფიო პასუხისმგებლობა ყველაზე დიდი მოტივატორია ადამიანებისთვის. თუ მათ ცხადად იციან რას ელოდება მათგან ორგანიზაცია, კონკრეტულად რაზე არიან ისინი პასუხისმგებლები განაპირობებს იმას, თუ როგორი აქტიურები, მოტივირებულები და მონდომებულები არიან ადამიანები მიაღწიონ სასურველ შედეგს. ცხადი და მკაფიო პასუხისმგებლობა ადამიანებს აძლევს სტიმულს იმუშავონ მაშინაც კი, როდესაც უკიდურესად უკმაყოფილოები არიან სამუშაო პირობებით, მენეჯმენტის მათდამი დამოკიდებულებებით ან სხვა გარემოებებით. ისინი ცდილობენ განახორციელონ პასუხისმგებლობა და მხოლოდ ამის შემდეგ, შესრულებული მისიის განცდით, იფიქრონ წასვლაზე. მეორეს მხრივ, ადამიანები, რომლებსაც მაღალი ანაზღაურება და კარგი სამუშაო პირობები აქვთ შეიძლება წავიდნენ სამსახურიდან მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ გაიგეს რა არის მათი პასუხისმგებლობა კონკრეტულად, რაც მათ მოტივაციას, შრომის ნაყოფიერებას ამცირებს და არასაკმარისი თვითრეალიზაციის განცდით ახალი სამსახურის ძიების მოტივებს უზრდის.

მეორე მიზეზი, რომელიც სტრუქტურულიდან გამომდინარე ადამიანების მოტივაციაზე და თვითრეალიზაციაზე ახდენს გავლენას არის **ძალაუფლება, რომელსაც მათ ეს სტრუქტურა ანიჭებს**. სწორედ სტრუქტურული როლი განსაზღვრავს მის ფორმალურ ძალაუფლებას. რაც უფრო დიდია ძალაუფლება, ითვლება, რომ მით უფრო მაღალია თვითრეალიზაციის სურვილიც და განცდაც, რაც უფრო შესაბამისობაშია ეს ძალაუფლება პასუხისმგებლობასთან, მით უფრო ეფექტურად იჭრება ამოცანებიც და ადამიანებიც ბევრად უფრო მოტივირებულები, მონდომებულები არიან. მეორეს მხრივ არასაკმარისი ძალაუფლება, მისი შეუსაბამობა პასუხისმგებლობასთან ადამიანების დემოტივაციას, დემორალიზაციას და სხვა სამსახურის პოვნაზე მოტივაციის ამაღლებას იწვევს.

